წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 3 შაური. | ტელეფონი № 76. | შაბათი აგვისტოს 26 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ორი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . [illegible]
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 112 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 112

გულ დათუთქულნი მშობლები მიხეილ და ნინა, ძმები იოსებ, ივანე და სიმონ, ბიცოლები ოლღა და ნადეჟდა და ბებია მაკა მდივნები, და ბიძა და ბიცოლა ივანე და ფეოდოსი მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ 22 ამა თვეს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი შვილი პირველისა, მეორისა ძმის სული და მაზლის წული მესამე'ი შვილიშვილი ხოლო მეოთხესის დის წულის

## მარიამ (მარუსიას) მიხეილის ასული მდივანი.

მეშვიდე კლასის ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოსწავლე, პანაშვიდი საღამოს შვიდ 7 საათზედ გამოსვენება 27 ამა აგვისტოს დღით კვირას ნაშუადღევის ოთხს 4 საათზედ, ქუთაისიდგან სოფელს ვაკისუბანში საკუთარ სახლიდგან მესხეთის ქუჩა.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ბიურო აგვისტოს 16-დან გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესავევი №6 გოგიტიძის სახლი აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-8-მდე.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ, წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

**ბათომის კომიტეტი.**

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 24, 25, 26 და 27 ნაჩვენები იქნება: **გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

## წყვილი სიყვარულისა

მხატრული დრამა 4 ნაწილათ, მ. კ. ნეველსკის, ტ. ა. ადამის და სტრიჟევსკის მონაწილეობით.

დ ჟ ე რ ი შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ი ა კომიკური.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 24, 25, 26 და 27 ნაჩვენები იქნება

## გამოხსნის ბაირაღი

მხატრული დრამა ოთხ ნაწილათ მარიამ ბერტელიის მონაწილეობით.

ლ ო კ ო კ ი ნ ე ბ ი კომიკური.

**საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით,** ქალაქ ქუთაისში გახსნილია საღამოის საყოველთაო მოსამზადებელი

## კ უ რ ს ე ბ ი,

მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.

**მისამართი:** ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან 8 საათამდის საღამოს.

## განცხადება.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზია ამით აცხადებს, რომ სულახალი **გამოცდები** იწყება სექტემბრის 11-იდან, მისაღები -(1 და 2 განყოფილებებში) 16-ს და სწავლა კი დაიწყება 20 ენკენისთვეს.

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

## ახუთის საზოგადოების სასკოლო სამზრუნველო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ს. ახუთში წელს გახსნილია **1 და 2 კლასები პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებლისა** ორივე სქესის ბავშებისათვის. მსურველთ შეუძლია წარმოადგინონ თხოვნები სასწავლებლის სახელზედ. თხოვნებთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი მეტრიკული ამოწერილობა ბავშის წლოვანობაზე. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 ენკენისთვიდან თხოვნებს მიიღებს სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე მღვდ. ამბროსი კუხალაშვილი.

**სამზრუნველო კომიტეტი.**

## მწარე დღეები.

რუსეთს უსასტიკესი დღეები დაუდგა. გარეშე მტერმა გაარღვია სახელმწიფოს საზღვართა ბჭენი და კვალდაკვალ სდევს გამოქცეულ ლაშქარს. რუსის ლაშქარმა დაჰკარგა სულის სიმტკიცე. რევოლუციას შავი მანდილი ეფარება. აღმოაჩინეს შეთქმულება, დააპატიმრეს დიდი მთავრები. პურიშკევიჩს პეტრეს ქალაქში სახელმწიფო სათათბიროს წევრების ოათბირზე მოუთხოვია დიქტატურის აღდგენა, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დატუსაღება, პოლიციის შედგენა და ძრ. მმართველობის სასამართლოში მიცემა.

კადეტები ჩუმათ არიან, თავისი აზრი არ გამოუთქვამთ. უდიდეს განსაცდელის შესახვედრათ გარკვეულ გზას არ დასდგომია არც მემარცხენე დემოკრატია.

დემოკრატია თავზარდაცემულია. ძალაუფლებით აღჭურვილმა მემარცხენე დემოკრატიამ ვერ შექმნა ჰარმონია ქვეყნის სამართავად. რევოლუციური ძირითადი პრინციპები შებღალულია. სტოკჰოლმის კონფერენცია არ შესდგება. დროებითი მმართველობა ავადმყოფ კაცს დაემსგავსა. მის შემოქმედებას ძალა დაეკარგა. აღარც მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს შერჩათ ავტორიტეტი. კერძო ხმაა, სამხედრო მინისტრი კერენსკი გადადგაო. თუ ეს გამართლდა, მაშინ კრიზისი ერთი ორათ გაორკეცდება.

ვინ გაბედავს ამ საშინელ დღეებში პასუხის-მგებლობის კისრებას? დროებით მმართველობას აუმხედრდა ყველა. მემარცხენე დემოკრატია მთავრობას სიკვდილით დასჯის აღდგენისათვის რევოლუციის ღალატს სწამებს. „მეუმრავლესეთა შტო“ სრულიად სპობს მთავრობას და მუშათა, ჯარ.-კაც. და გლეხთა საბჭოს დიქტატურას მოითხოვს. რუსეთი საზარელ უფსკრულისკენ მიექანება. მმართველობა გარიყულია. სახელმწიფო ეროვნულ კატასტროფის წინაშე სდგას.

მწარე დღეები მოევლინა რუსეთის ყველა ერს.

გამჭრიახობა, თავის თავზე მზრუნველობა დღეს ყველას უაღრესად დასჭირდა.

ქართველებსაც დიდი სიფხიზლე და დაკვირვება გვმართებს. მოსალოდნელია ჩვენთვისაც დიდი გაჭირვება, ჩვენი ქვეყნის საერთო ბედ-იღბლის გართულება. ამ გარემოებას სათანადო ანგარიში უნდა გავუწიოთ.

საქართველოს ემუქრება სიმშილი. ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა ამ კითხვას სასწრაფოთ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ, ხალხის კატასტროფისგან დასახსნელად მოქმედებას შეუდგენ.

სურსათის საქმე—ეკონომიურ მხარის გამაგრება საქართველოს არსებობის კითხვაა. ვისმინოთ ყველამ და თავს მოუაროთ.

**ი. დ—ძე.**

## ქართული საქმე.

განახლებულ და თავისუფალ ქართულ ცხოვრების პერსპექტივები ბევრ ძნელ კითხვას აყენებს. ქართველი ხალხის ახლო წარსულმა უარყოფითი მემკვიდრეობა გადმოგვცა. არც ერთი მხარე-დარგი ეროვნულ თვითმყოფელობისა სანუგეშო ნიადაგზე არ არის დაყენებული. ყოველ სფეროში უნიათობა სუფევს და ყოველ დაწყებულებას უცხო საზომით მიუძღვებით. მაგრამ დღეს, როდესაც უნდა დამყარდეს საქართველოს თავისუფალი თვითარსებით ცხოვრება, გამოვეთხოვოთ წინანდელ უშინაარსო გადაგვარებულ მონურ ყოფას. ამისთვის აუცილებელ პირობას შეადგენს, რომ ერის ყოფა ცხოვრების ყოველ კუთხეში ღრმათ ჩავიხედოთ და მის მამოძრავებელი ჭახრაკები გავსინჯოთ.

შევეხოთ ქართულ ვაჭრობა-მრეწველობას. თანამედროვე ხანაში ერის ცხოვრებისთვის და კეთილ დღეობისთვის ნივთიერ სიმაგრეს და სიძლიერეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. ნივთიერათ ღატაკი ერი ვერ დადგება პროგრესის და აღორძინების გზაზე.

თავისუფალ საქართველოს ხალხი საქართველოს ეკონომიურათ გაღონიერებას განსაკუთრებულ ყურადღებით და მფარველობით მოეკიდება.

ქართველ ვაჭარ-მრეწველნი ახლად იდგამენ ფეხს. სასიხარულოა, რომ უკვე გაიფანტა, მოისპო ის ყალბი შეხედულება, თითქოს ქართველ კაცისთვის კომერსანტობა სათაკილო იყოს.

ქართველი ვაჭრები ეხლავე უნდა დაირაზმონ და შეუდგენ ისეთ ადგილების დაუფლებას, რომელსაც ერის ეკონომიურ ცხოვრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. შავი ზღვის მხარე „მეფის ნაცვლების“ დროს ქართველთ ხელიდან გამოეცალა და იქ უცხოელები ჩამოსახლდენ. შავი ზღვა საქართველოს ცხოვრებისთვის ყველაფერია. შავი ზღვით გაჩაღდება ჩვენი ურთიერთობა მსოფლიო ბაზართან, შავი ზღვის ნაპირებზე ძლიერ ხეირობს თუთუნის კულტურა. შავ ზღვას აქვს აგრეთვე განუსაზღვრელი პოლიტიკური მნიშვნელობა. ჩვენს პირდაპირ მოვალეობას და ინტერესს შეადგენს, რომ შავი ზღვის ნაპირი ჩვენს ხელთ დარჩეს. ქართველმა შეძლებულებმა შავი ზღვისკენ უნდა მიმართონ მოქმედების ისარი. დაკარგულ ადგილების დაბრუნება დღეს ძნელი არ არის. ჩვენს ხალხში დიდი ფული ტრიალებს, რომელიც წარმავალ სიმდიდრეს შეადგენს. საღი მოსაზრება ყველას უკადაგებს, რომ ახლავე ასეთი ფული ისეთ ქონებათა შესაძენათ დაბანდდეს, რომელიც სამუდამო შემოსავლის წყარო იქნება და საფრთხე არ მოელის. ეს უნდა შეიგნოს ყოველმა ქართველმა. საქართველოს ბედნიერება მარტო იმით კი არ შეიქნება, რომ პოლიტიკური თავისუფლება მოგვენიჭოს. ყოველ ნაწილში ინტენსიური მუშაობა გვინდა. ქართველებმა უნდა დავიკავოთ საქართველოს ყოველი კუთხე და ცხოვრების თაოსნებათ ჩვენვე უნდა გამოვიდეთ. გვეყოს, რაც საკუთარ სამშობლოში სტუმრებათ ვითვლებოდით. **წმინდა ქართული საქმე** დღეს დაიწყება. საკუთარ ვაჭრობა მრეწველობის გაფართოვება და მისი მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა საქართველოს მომავლის არსებითი კითხვაა. შეუდგეთ **ქართულ საქმეს,** ჩვენი ცხოვრების მთლიანათ ჩვენსავე ხელში დატრიალებას. ქართველ ვაჭარ მრეწველებმა უნდა შეკრან მტკიცე ორგანიზაცია და საქართველოს უცხო კაპიტალის და ეკონომიკის ბატონობა მოაშორონ.

**ირ—დი.**

## ქართული პრესა.

გაზეთ. „საქართველოში“ გ. ქ. უპირისპირებს ერთმანეთს ნაპოლეონისა და, გერმანელების შემოსევას რუსეთში და შემდეგ ნაირად ახასიათებს.

პოპულიარული აზროვნება ერთგვარს მსგავსებას ჰხედავს გერმანელების შემოსევასა და ნაპოლეონ პირველის ლაშქრობის შორის. ბევრს იმედი აქვს, რომ პირველიც ისე უკუღმართად დამთავრდება თავდამსხმელისათვის, როგორც უკანასკნელი დამთავრდა. რუსის ჯარი პეტროგრადსა და მოსკოვს დასთმობს და აღმოსავლეთით დაიხევს. გერმანელი რაზმები შევლენ დაცალიერებულ სატახტო ქალაქებში. ამ დროს მოუსწრობს რუსეთის სასტიკი ზამთარი და შეასრულებს მას, რაც რუსი სარდლების სტრატეგიამ და ტაქტიკამ ვერ შესძლო ე. ი. სრულიად გაანადგურებს მტრის ლაშქარს. და გულზვიადი გერმანია იძულებული იქნება ქედი მოიხაროს ჯერხიანი მოწინააღმდეგის წინაშე.

აქვს თუ არა ასეთს რწმენას რაიმე რეალური ნიადაგი? საკმაოა ერთი შეხედვა იმის დასანახავად, რომ ნაპოლეონის თავდასხმა სრულიად არ წააგავს ჰინდენბურგის თავდასხმას და საერთოდ რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა თავისებური და განუმეორებელია. ნაპოლეონის ლაშქრობა 1812 წელს ხანმოკლე იყო. მხოლოდ რამდენიმე თვეს გაგრძელდა. რუსეთის კამპანია უკანასკნელი ეპიზოდი იყო ხანგრძლივი ომებისა, რომელმაც ფრანგის ჯარი შეასუსტა და დააუძლურა. მოსკოვში შესვლისას ნაპოლეონი რამდენიმე ათასი ვერსით დაშორდა თავის ბუნებრივ სამხედრო ბაზას —საფრანგეთსა: უგზოობა მეტის მეტად აძნელებდა სურსათის შოვნას. ამას გარდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის პრუსია იყო, რომელსაც სულით და გულით ნაპოლეონის მოწინააღმდეგე მხარე ეჭირა. მოსკოვი გადაიწვა, ესეც არ ყოფილიყო ამ ქალაქის ხელში ჩაგდება ნაპოლეონს საგრძნობელ უპირატესობას ვერ მიანიჭებდა. მოსკოვი რუსეთისათვის უფრო სარწმუნოებრივი ცენტრი იყო ვიდრე პოლიტიკური. მის დაკარგვას არ შეეძლო სახელმწიფოებრივი ცხოვრების არევ-დარევა გამოეწვია. რუსეთი მაშინ კარჩაკეტილი მეურნეობის ქვეყანა იყო, ერთი კუთხის ან, მით უმეტეს, ერთი ქალაქის დათმობას დიდი მნი-

შენელობა არ ჰქონდა მთელ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისთვის. რუსეთის ზოგიერთ კუთხეში ფრანგი იმპერატორის შემოსევა მაშინ შეიტყვეს, როცა რუსეთის მიწა-წყალი საბოლოოდ განთავისუფლებული იყო უკანასკნელი ფრანგი გრენადერებისაგან. მხოლოდ მდინარე ბერეზინამ, სმოლენსკმა, ბოროდინოს მინდორმა და მოსკოვმა შეინარჩუნეს მათი კვალი.

სულ სხვა პირობებში სწარმოებს თანამედროვე ომი. პეტროგრადისა ან მოსკოვის აღება უკანასკნელი ეპიზოდი იქნება ხანგრძლივი ომისა, რომელმაც რუსეთი არაჩვეულებრივად დაჰქანცა. გერმანიისა და რუსეთს შორის დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობს, მტრის ლაშქარი აგრე რიგად დაშორებული არ არის პირვანდელ სამოქმედო ბაზარს. სურსათისა და სამხედრო მასალის შემოზიდვა ადვილია რკინის გზებისა და გზატკეცილების წყალობით. დღეს რუსეთი ნახევრად კაპიტალისტური ქვეყანაა, მისი პოლიტიკური ცხოვრება ცენტრალისტურ სისტემაზეა აგებული. სატახტო ქალაქის დათმობა დამბლას დასცემს მთელს სახელმწიფოს და დიდს არევ დარევას შეიტანს ეკონომიურ ურთიერთობაში. რუსეთისთვის დიდათ საგრძნობელი იყო ლოძისა და ვარშავის სამანუფაკტურო რაიონისა და ლიბავის ნავთსადგურის დაკარგვაც. პეტროგრადის, მოსკოვის ან კიევის დათმობა სავსებით გაანადგურებს, მთელი ქვეყნის მრეწველობას, აღებ-მიცემობას და მეურნეობას. ასეთს შემთხვევაში რუსეთი იძულებული იქნება დიდათ საზარალო ზავს დასთანხმდეს.

ნაპოლეონის ლაშქრობა უფრო გენიოსური ავანტიურა იყო, ვიდრე ღრმად მოფიქრებული და აწონ-დაწონილი ოპერაცია. თანამედროვე გერმანელებს დიდი ფრანგის სარდლის წინაშე ერთი შეუდარებელი უპირატესობა აქვთ: მათ მხარეზეა მეცნიერული საუკუნის გამოცდილება. მათი ლაშქარი მეთოდიურათ ბურღავს რუსეთის სხეულს. ფრონტი გადაჭიმულია ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ფრონტთან ერთად თითქო წინ მიდის თვით სახელმწიფო საზღვარიც: ახლად დაპყრობილი ადგილები გერმანული სიმაგრეების, მართვა-გამგეობისა და კულტურის სისტემაში შედიან.

ნაპოლეონის ლაშქრობა გააფთრებული ავაზის ნახტომს წააგავდა; პარიზიდან მოსკოვამდე დიდი მანძილი იყო და ნაპოლეონმა ფეხი იღრძო. გერმანელების რაზმები ზღვის ტალღასავით ლოკავენ და შლიან რუსეთის ნაპრალებს.

## პრესის მაგიერ.

საკუთარი სისუსტის შეგნება ძნელი საქმეა, მაგრამ სამაგიეროდ ადამიანის უკეთილშობილესი გრძნობაა მასში ჩამარხული. „სახალხოელები" კი სულ სხვა-რიგად აზროვნობენ. არც ერთი პოლიტიკური პარტია ისეთი სუსტი და უნიადაგო არ არის საქართველოში, როგორც ფედერალისტები, მაგრამ არც ერთს მათგანს არ გაუზვიადებია თავისი რეალური ღირებულება იმდენად, რამდენადაც ფედერალისტებს. აი მაგალითად გუშინ წინდელი „სახალხო" რასა წერს: „საბედნიეროდ მცნება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა, მისი სიწმინდისა **ჩვენმა მშრომელმა ხალხმა ერთ-სულოვნად დაგმო**". გინდათ შეეკითხოთ ავტორს, თუ საიდან გამოიტანა ასეთი რიხიანი დასკვნა. მაგრამ ვინც ასეთი დიდი წარმოდგენისაა საკუთარ პრინციპების გამარჯვებაზე მისთვის შეკითხვაპ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს პრინციპი სარწმუნოებრივ გალუცინაციად გამხდარა. რომელიც ყოველგვარ კრიტიკის გარეშე სდგას, თორემ მარტო ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობის გახსენება საკმარისია, რომ „სახალხოელებს" თავიანთი ტრაბახობის შერცხვეს. მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის სიმართლეს ეკუთვნის და აკი წერილის ბოლოში ნებსით თუ უნებლიეთ ავტორიც გვეუბნება: „საუბედუროდ, ჩვენმა ხალხმა იდეა **სოციალიზმისა**, დემოკრატიულ წყობილებისა და სხვა მრავალი, მიიღო როგორც **სარწმუნოება**. მათ შესახებ ცოცხალი წარმოდგენა არა აქვს... მასი სული გაუგებარი და უცხოა მისთვის, წარმტაცი იდეა თავის აქტივობით მას ვერ ამოძრავებს". კეთილი და პატიოსანი, მხოლოდ აზრთა შინაგან წინააღმდეგობის რას უშვრება ავტორი? ზევით სთქვა, რომ „მცნება კერძო საკუთრებისა... ჩვენმა ხალხმა ერთსულოვნად დაგმო", წერილის დასკვნაში კი გვეუბნება: სოციალიზმზე „ცოცხალი წარმოდგენა არ აქვსო... მისი სული გაუგებარი და უცხოა მისთვისო". როგორ! განა ერთსულოვნად მიღება იმისა, რაც „გაუგებარია" და რაზედაც „წარმოდგენაც" კი არ არსებობს შეიძლება? ახირებული აზრთა შეთანხმებაა, მაგრამ აბა რა უნდა კითხოთ ისეთ ადამიანებს, რომელნიც ცხოვრების რეალურ პირობებს ანგარიშს არ უწევენ.

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**სახელმწიფო სათათბირო მონოპოლიის წინააღმდეგ**

**პეტროგრადი.** აგვ. 22. როძიანკომ გაუგზავნა წერილი მინისტრ-თავმჯდომარეს, რომელშიაც ატყობინებს, რომ სახელმწიფო სათათბიროს კერძო თათბირმა დამავალა გაცნობოთ. რომ არსებული სისტემა პურის მონოპოლიისა და სასურსათო კომიტეტების ორგანიზაციის უვარგისობა აუცილებლად გვიქადის ხალხსა და ჯარს შიმშილსა და საშინელს რყევასა. პურის თავისუფალ ვაჭრობის მოსპობა და სასურსათო კომიტეტების უვარგისობა ბოლოს და ბოლოს დაარწმუნებს მთავრობას თავის შეცდომაში და ამიტომ ერთად-ერთ მხსნელ საშუალებად შექმნილა გარემოებიდან გამოსასვლელად მიგვაჩნია პურის მონოპოლიის საქმის გადასინჯვა და მისი გაუქმებაო.

**გლეხთა აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდება**

**პეტროგრადი.** აგვ 22. სრულიად რუსეთის გლეხთა აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა გლეხებს: „იხსენით თავისუფალი სამშობლო! მას სიკვდილს უქადიან თავისუფალ რუსეთს, მის ჯარებს და ბევრ სოფლებს და ქალაქებს შიმშილით ამოწყვეტა მოელის, ხოლო ზოგიერთ ალაგებში შიმშილი უკვე დაიწყო კიდეც. თვისი კენჩხი ხელით სიკვდილი უკვე ეხვევა ხალხს და ჯარს. იხსენით სამშობლო, მიწა, ხალხი. მიეცით პური, ააჩქარეთ ჩამოტანა, ნულარ ჰყოვნებთ. პურის ფასებს ვერ ავწევთ, რადგანაც ფასის მომატება დასაღუპია სახელმწიფოსთვის და უსარგებლო ხალხისთვის აღმასრულებელი კომიტეტი იბრძვის გლეხთა ინტერესისათვის და თავის მხრით სცდილობს მიაწოდოს სოფელს ის, რაც მას აკლია. მაგრამ ამასთან პირდაპირ გიცხადებთ, რომ ყველაფრით დაკმაყოფილება სოფლისა ყველად შეუძლებელია, მოუწყვეტლით მტკიცე ფასებში იმას, რაც მოგვეპოვება დადგა დიდებული საათი. მტერი კარზე მოგვდგომია, ჯარი დაბნეულია, ქვეყნად უთანხმოება და შიმშილია. გამოიღვიძე, დიდო ხალხო! მიწის მუშავ, დაჰჭიმე შენი უკანასკნელი ძალები, უშველე სამშობლოს!...

**გაფიცვის წინააღმდეგ.**

**ფეოდოსია.** აგვისტოს 22. სარკინიგზო დაწესებულებებმა სრული უარი განაცხადეს გაფიცვებზე.

**კონტრ რევოლუციური შეთქმულობა**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 23. პეტროგრადის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დაწვრილებითი ცნობები იმ კონტრ-რევოლუციურ შეთქმულობაზე, რომელიც აღმოაჩინეს დეპუტატთა საბჭოს შემაოცხენებმა და დასაბუთებული ცნობები წარუდგინეს მინისტრ-თავმჯდომარეს კერენსკის. კერენსკიმ გამოძიება მიანდო მოსკოვის სასამართლო პალატის პროკურორს სტაალს, ხოლო ახლა საქმე გადაეცა პეტროგრადის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელის, ალექსანდროვის ხელში. შეთქმულობა მოფენილი ყოფილა მთელს რუსეთში. შეთქმული მოქმედებდნენ პეტროგრადში. მოსკოვში, კიევში, ყირიმში, ციმბირში დაატუსაღეს ზოგიერთნი, მათ შორის, ტობოლსკში, ყოფილი ფრეილინა ხიტროვო. სახლებში დარჩენით დატუსაღებული არიან დიდი მთავრები მიხეილ და პავლე ალექსანდრეს ძენი და მათი ცოლები. იტყობინებიან. რომ დატუსაღებულია დიმიტრი პავლეს ძეც. ჯარი არ რეულა შეთქმულობაში. დიდი მთავრების დასაპატიმრებლად, „ბირჟევია ვედომოსტების" სიტყვით, თვით კერენსკი წასულა გატჩინოსა და ცარსკოე სელოში. გაუჩხრეკიათ ნარიშკინის, რომელიც ყოფილა პავლე ალექსანდრეს ძესთან დატუსაღების დროს. გამოძიება სასწრაფოდ სწარმოებს. სტალს უთქვამს პრესის წარმომადგენლებისათვის, რომ შეთქმულობის მიზანი პოლიტიკურია, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ ვითომც ყოფილი იმპერატორი და მისი სახლობა განთავისუფლებინათ ტობოლსკიდამ. დიდ მთავრების შესახებ კერენსკიმ განაცხადა, რომ ეს ზომა მიღებულია იმ დრომდე, სინამ გამოირკვეოდეს ზოგიერთი ამბავი. მათი დატუსაღება მოხდა საგანგებო რაზმით თვით პეტროგრადის ოლქის მთავარსარდლის თანაშემწის ხელმძღვანელობით. პავლე ალექსანდრეს ძემ განაცხადა, რომ მოველოდი დაპატიმრებასო. შეთქმულობა მიეკუთვნება 101 მუხ. სისხლ. სასჯ. დებ. ახლო ხანებში გამოცხადებული იქნება ცნობა დანარჩენ დაპატიმრებულთა შესახებაც.

**პეტროგრადის არჩევნების შედეგი.**

**პეტროგადი.** აგვისტოს 23. შედეგი ხმოსნების არჩევნისა პეტროგრადის ცენტრალ საბჭოში. სოციალისტ-რევოლიუციონერებმა მიიღეს 72 ადგილი; ბოლშევიკებმა 67, ხალხის თავისუფლების პარტიამ 42, მეუმცირესეებმა ინტერნაციონალისტებმა 8, შრომის ჯგუფელებმა 2, „ერთობის" ჯგუფელებმა 2, რადიკალურ-დემოკრატიულ რესპუბლიკამ ვაჭრობამრეწველობის კავშირმა და ინჟინერთა კავშირმა თითო-თითო. სულ მიუციათ 549.377 ხმა, დაახლოვებით, 35 პროცენტს ყველა ამომრჩევლებისას.

**სავინკოვი საზღვაო სამინისტროს გამგედ**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 22. ლაშქრისა და ფლოტისადმი ბრძანებით გამოცხადდა: სამხედრო მინისტრის ამხანაგი, სამხედრო სამინისტროს გამგე. სავინკოვი, საზღვაო სამინისტროს გამგედ დაინიშნა. ამასთან დასტოვა ძველი თანამდებობა.

**საწყობების დარბევა მოსკოვში**

**მოსკოვი** აგვისტოს 22. ამ დღეებში ფარულ საწყობების აღმოსაჩენად თავნებობით მომხდარ ჩხრეკის გამო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და საზოგადო დაწესებულებათა თანადასწრებით საგანგებო თათბირი მოხდა. თათბირმა გადასწყვიტა აღირიცხოს ის ქსოვილები, რომლებიც მოვაჭრეებს საწყობებში აქვთ შენახული. აღრიცხვა აგვისტოს 25 მოხდეს. ფართლეულობის გატანა მოსკოვიდან აკრძალულია, თათბირმა სასურველად სცნო გაჩხრეკა სასურსათო და საფართლეულო საწყობებისა. ქალაქის თავმა, სამრეწველო კომიტეტმა და დეპუტატთა საბჭომ მოწოდებით მიმართეს მცხოვრებლებს. მოწოდებებში ნათქვამია, რომ გაჩხრეკილ იქნება ყველა საწყობები, ბანკებისა და ლომბარდების შენობები, საქონელს და ტყვეებენ და პურის მშობ გუბერნიებში დაგზავნიან, რომ მოსკოვში პურის შემოტანა წესიერ გზით აწარმოონ. მოწოდებები მოქალაქეთ თავნებობითი ქცევისაგან აფრთხილებენ.

**კერენსკის სამადლობელი ბრძანება აფიცრებისადმი.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 22. რუსეთის თავისუფლების პირველმა სხივებმა მაშინ ამოაშუქეს სამშობლო მხარეში, როცა მისი ყოველი ცოცხალი ძალები თვისი მკერდით იცავდნენ მის საზღვრებსა. სამ წლამდის ომმა აწარმოებდა მთელი შეიარაღებული ხალხი—ჯარი ხმლით ხელში, მუშები დაზგებთან, მხვნელ-მთესველი—გუთანთან. ზეიმით და სიხარულით მიეგება ხალხი თავისუფლებას და ნატამალი რყევაც არ იყო მის რაზმებში. ჯარის გვირგვინი, ოფიცრობა, ჯარისკაცებთან ერთად, განამტკიცებდა ყველა იმათ მუშაობას, რომელთაც დაამსხვრიეს სამარცხვინო ბორკილები მონობისა. ოფიცრობამ დაამტკიცა, რომ იგი ხორცთაგან ხორცია ხალხისა. განვლო პირველმა დღეებმა სიხარულისა და მძიმე მოვალეობამ აიძულა ყოველი მათგანი არ დატოვოს თავისი ალაგი, არ დაჰყაროს იარაღი, რომ მტერს არ წაერთმია თავისუფლება. მძიმე იყო პასუხისმგებლობა აფიცრებისა, რომელთაც მიჰყავდათ ჯარი ბრძოლაში. ბევრი, ბევრი კილვა და შეურაცყოფის ატანა ჰხვდა მათ წილად რევოლუციის პირველ ხანებში, როდესაც ბნელი ძალები ხელოვნურად აღვივებდნენ შუღლს მათსა და ჯარისკაცებს შორის. მგრამ ოფიცრობამ მაინც არ მიატოვა თავისი სამსახური სამშობლოსა და რევოლუციისადმი. ოფიცრობა შერჩა თავის დიდებულ ადგილას. საუკეთესო მისმა ნაწილმა, ისეთი გმირობები გამოიჩინა, რომ ჯარის ზოგიერთ ნაწილებში ბრძოლის ბოლოს ერთიც არა რჩებოდა ცოცხალი. მათი გმირობა და თავდადება აღიარებულია თვით მტრისაგან. ოფიცრობამ საკუთარი სისხლით დაამტკიცა თავისი ერთგულება სამშობლოსა და რევოლუციისადმი. ნაკლები სიმხნე და სიმამაცე არ გამოიჩინეს იმ ოფიცრებმა, რომლებსაც მთელი თავიანთი ღონე იმას მოახმარეს, რომ ჯარის კომიტეტებთან ერთად დაუღალავად ებრძოდნენ ჯარის იმ მდაბალ ნაწილს, რომელმაც თავისუფლება ვალდებულების დავიწყებად მიიღო და რღვევა და ღალატი შეჰქონდა ჯარში. მთავრობა მუდამ მხარს დაუჭერს ოფიცრებს, რომლებიც, თუმცა დიდს ეკონომიურს გაჭირვებას განიცდიდენ, მაინც არაფერს თხოულობდნენ და თავიანთ მოვალეობას კი პირნათლად ასრულებდნენ, ისტორია ღირსეულად დააფასებს გმირ-მეარძოლთა ამაგს.

სამხედრო და საზღვაო მინისტრი.

ა. კერენსკი.

## სუხომლინოვის გასამართლება.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი:

**ანდრონიკოვის მიწერ მოწერა სუხომლინოვებთან.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 23. სხდომის გახსნისთანავე კითხულობენ დიდს მიწერ-მოწერას თ. ანდრონიკოვსა და სუხომლინოვს შორის. მიწერ-მოწერა ცხადს ჰყოფს იმ ამბავსა, რომ ანდრონიკოვს, როგორც ერთ ბნელ ძალთაგანს, რომელთა სათავეში იდგა რასპუტინი, დიდი გავლენა ჰქონია უმაღლეს სფეროში. სამხედრო მინისტრი მიმართავდა მას დახმარებისთვის არა მარტო სხვებისთვის, არამედ თვით საკუთარ საქმეებისთვისაც. სუხომლინოვებმა მაგალითად, სთხოვეს ანდრონიკოვს დახმარება ბუტოვიჩთან გაყრაში. სუხომლინოვისა სწერს ანდრონიკოვს: საკმაოა შენი ერთი სიტყვა, რომ ბოლო მოეღოს ჩემს გაყრასო, მოელაპარაკეთ ამის შესახებ გრაფ ფრედერიკსსაო.

**ყოფილ მთავარ სარდლის ალექსეევის ჩვენება.**

მაშინ მე სამხრეთ-დასავლეთის ჯარის უფროსად ვიყავით. დაიწყო ომი თუ არა, მაშინვე გამოაშკარავდა სამხედრო მასალის ნაკლებობა. ტელეგრამები ლაგვაყარეს, მაგრამ უშედეგოდ მასალა ძლიერ მცირე მოდიოდა. საქმეს ეშველა მხოლოდ 1915 წ. ბოლოს. სამხედრო სამინისტრო ჩვენს ყოველ თხოვნაზე მხოლოდ დამამშვიდებელ პასუხებს გვაძლევდა. ობერ-პროკურორის დაკითხვაზე, მოწმე აცხადებს: როცა კიევის ოლქის შტაბის უფროსად ვიყავი, ვიცოდი, რომ სუხომლინოვი კარგს განწყობილებაში იყო ალტშილერთან, ეს მე მუდამ მაკვირვებდაო, რადგანაც ალტშილერს ცუდი სახელი ჰქონდა საზოგადოებაში, როგორც ჯაშუშს, თუმცა ნამდვილი საბუთი ამისა არავის არაფერი გვქონდა ხელშიო.

## უცხოეთი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ბრძანება ესპანეთის ფოსტა-ტელეგრაფის მსახურთ.**

**ლისსაბონი.** აგვისტოს 21. მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ეცხადებათ ფოსტა-ტელეგრაფის მსახურთ, რომ ყველა მათგანი, ვინც კი 48 საათის განმავლობაში მუშაობას არ შეუდგება—დეზერტირად ჩაითვლება.

**საბერძნეთის კაბინეტის წევრთა სასამართლოში მიცემა.**

**ათინა** აგვისტოს 22. დეპუტატების ჯგუფმა დეპუტატთა პალატაში რეზოლიუციით კაბინეტების წევრთა: სკულუდისის, გუპარისისა და ლამბროსის სასამართლოში გადაცემა მოითხოვა.

**ინგლისელ ტრედ-უნიონების კონგრესი.**

**ლონდონი.** აგვისტოს 22. დღეს ბლეკპულში ტრედუნიონების კონგრესის სხდომები, დაიწყო დაესწრო 3 მილიონ წევრთა გამოგზავნილი 95 წარმომადგენელი. თავმჯდომარე ხილმა სხვათა შორის სთქვა: რუსეთის რევოლუცია ყველა ერთათვის შესანიშნავი იყო მიუხედავად ამ ცოტა ხნის ამბებისა, მე ღრმა იმედი მაქვს ახალ მთავრობისაც.

**ნეიტრალ სახელმწიფოთა კონფერენცია შვედეთში.**

**მადრიდი.** აგვისტოს 22. მთავრობა უარჰყოფს უცხო პრესის ცნობას, ვითომცა შვედეთში ნეიტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციის ინიციატორად მეფე ალფონსი იყოს და თვით იგი მონაწილეობას მიიღებდეს. მეფეს არავითარი ცნობები არ მიუღია კონფერენციის შესახებ. იგი არ მიწვეულა კონფერენციაზე.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**რუსის ჯარის დახევა**

**მთავარი ბანაკი.** აგვისტოს 22. რიგის ფრონტიდან ჩვენი ჯარი ძველიბერ ჩქარის ტემპით [illegible] იწევს პსკოვის გზაზე [illegible] რაიონის ტყე და ჭაობები დეზერტირებით აივსო.

**გაზეთ „რიჟსკი ფრონტი"-ს ცნობა.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 22. გაზეთ „რიჟსკი ფრონტი" იუწყება, მტერმა შესძლო დვინის გადმოლახვა, რადგან იცოდა ჩვენი ბატარეების მდებარეობა. ბრძოლაში მონაწილეობდნენ ჯავშნიან ნავებით ჰაეროპლანები, რომელნიც 300 მეტრით მაღლობზე იდგენ, ბრძოლის შესახებ ცნობის მიღებისათანავე, რედაქციამ ხუთი კაცი გაგზავნა ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. სალაშქრო კომიტეტის წევრები ასპარეზებზე იყვნენ. აღმასრულებელ კომიტეტის წევრები კორპუსებში, დივიზიებში, და პოლკებში განაწილდნენ.

**გერმანელთა ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 25. ლეოპოლდ ბავარელის ლაშქრის ფრონტზე აგვისტოს 19-ს დილით გერმანელთა დივიზია იკსკიულის ორსავ მხარესთან დვინაზე გადავიდა. ქვეითი ჯარის გადასვლას წინ უძღოდა არტილერიისა და ნაღმის მტყორცნელთა დიდი მოქმედება, ცოტა ხნის ბრძოლის შემდეგ ქვეითი ჯარი მდინარის ჩრდილოეთ მხარეზე გაჩერდა. მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენი ჯარი წინ იწევს. მტერმა დვინის დასავლეთით ასპარეზი დასტოვა. მე 12-ე ლაშქრის დასავლეთ ფრთას, რომელიც შეუკავებლად იხევს, ყველა ჯურ ზარბაზნებით ცეცხლის ტალღები ავადევნეთ.

**საღამოს ცნობა.** 21 საათი და 30 წუთი რიგა აღებულია.

**ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 22. სწორედ იმ დღეს—გერმანელები რომ დვინაზე გადადიოდნენ რიგის ლაშქრის საბჭომ მოწოდებით მიმართა ჯარისკაცებს. მოუწოდებდა მიწასა და თავისუფლების დასაცავად. მოწოდება ასე თავდება: „დღეს, მეორე დღეა რიგასთან ბრძოლისა, სწყდება ბედი რუსეთისა და ბედი რევოლუციის. რუსეთის წინაშე მოვიხადოთ ჩვენი ვალი".

**ახალი ასპარეზები.**

**პეტროგრადი.** აგვისტოს 22. თუ რომელ ახალ ასპარეზებს დაიჭერს ჩვენი ჯარი, სამხედრო ავტორიტეტული პირები აცხადებენ, ეს იმაზეა დამოკიდებული რამდენად მალე გამოერკვევა დაშლილი და თავზარდაცემული ჯარი. მეტად სამწუხაროა ეზელის დაჭერა გერმანელებისაგან. მეტად საშიშოა აგრეთვე ის საკითხი, თუ რამდენად შესძლებენ ჩვენი ძალები წინ აღუდგნენ გერმანელების სადესანტო ოპერაციებს. გერმანელთა გემებმა პერნოვის სამხრეთით ზღვის პირს სროლა აუტეხეს ეს უკვე უნდა ჩაითვალოს იმ სადესანტო ოპერაციის საწინდრად, რომლის მიზანიც რეველი-კომბატა-პსკოვის გზების შემაერთებელ საკვანძისაკენ გამოსვლაა.

**დვინსკის სალაშქრო კომიტეტის მოწოდება**

**დვინსკი.** აგვისტოს 22. მე 5 ლაშქრის კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ჯარს: **სამშობლო იღუპება.** აღებულია რიგა. მიუხედავად ჩვენი ჯარის სიმრავლისა, სიმაგრეებისა და არტილერიისა—იგი სამ დღეზე აიღეს. იმ თავისუფლების სახელით, რომელიც ისე ადვილად მოვიპოვეთ შესაძლოა უფრო ადვილად დავკარგოთ, იხსენით სამშობლო, იხსენით რევოლუცია. გერმანელთა ხიშტებს თან კონტრ-რევოლუცია მოაქვთ. ჩვენ რევოლუციონერებს არ გვქენჯნის სინიდისი, რადგანაც გუშინ გვეუბნებოდით: შესწირეთ სიცოცხლე თავისუფლების სახელით სამშობლოს საკურთხეველზე. აწ პოლიტიკის დრო არის. ეხლა ყველა ერთ მიზნით უნდა გავამსჭვალნეთ: ეს მიზანი—ლაშქრისა და რუსეთის ხსნა. ჩვენი რიგიც მოახლოვდა. დღეს თუ არა ხვალ მტერი ჩვენც შემოგვიტევს. ჩვენ იგი უნდა მოვიგერიოთ. ამ მწუხარე წამს დიდ მოღალატედ ჩაი-

თვლება ვინც შედრკება, ვინც გაიქცევა, რადგან იგი გაჰყიდის სამშობლოს და თავისუფლებას. კმარა სიტყვები, სჯა ბაასი,- მიტინგები. სამშობლო ყოველ ჯარისკაცისგან და ოფიცრისგან მოელოდება პატიოსან ასრულებას მოვალის.

**საფრანგეთის ფრონტი.**

**პარიზი.** აგვისტოს 21. ოფიციალური. მაასის მარცხენა მხარეზე საარტილერიო სროლა გაძლიერდა. შამპანში, სენტ-ილერ-სენ-სუპლეს გზის დასავლეთით მტერს მარჯვედ დავესხით თავს და ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** აგვისტოს 23. ოფიციალი. გუშინწინ-ლამ ლანსის ჩრდილოეთით მტერს თავს დავესხით, ამოვსწყვიტეთ რამდენიმე გერმანელი და რამდენიმეც ტყვედ წამოვიყვანეთ. ლიბასსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ. იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის არტილერია მედგრად მოქმედებდა. ქინგლენის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ.

**ლონდონი.** აგვისტოს 23. საღამოს ოფიციალი. ლიბასსეს სამხრეთ-დასავლეთით აგვისტოს 21 ს მტრის რაზმი მოვიგერიეთ. იპრის ჩრდილოეთით მტრის არტილერია მთელი დღე მოქმედებდა.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინწინ საღამოთი ჩვენმა მფრინავებმა 7 ტონი ყუმბარა დაუშინეს მტერის ჰაეროდრომებს. ჩვენ გერმანელების ერთი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ერთიც დავაზიანეთ. ჩვენ ერთი ჰაეროპლანი გვაკლია.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** აგვისტოს 21. გაცხარებულ საარტილერიო სამზადისის შემდეგ ჩვენ ცრნის დასავლეთით მტრის თხრილები დავიჭირეთ. დრიირანის ტბისა და ვარდარის შუა და მონასტირის მახლობლად საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

**იტალიეთის ფრონტი.**

**რომი.** აგვისტოს 21, ოფიციალი. გორიცის ღელეში ჩვენ აღმოსავლეთისკენ წამოვიწიეთ. მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. იულიუსის ალპებთან ბრძოლაში აგვისტოს 19 სა და 20 ს 339 ჯარისკაცი და 8 ოფიცერი ვიგდეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** საღამოს ჩვენმა 30-მა ჰაეროპლანმა პოლეში მტრის ფლოტს 9 ტონი ასაფეთქებელი მასალა დაუშინეს და საგრძნობი ზარალი მიაყენეს. წუხელ მტრის მფრინავებმა იზენცოსა და ტალიამენტოს შუა მდებარე ადგილებს აუტეხეს სროლა. მოკლულია რამდენიმე მოქალაქე და ავადმყოფი ჯარისკაცი.

**რუსის ჯარების ქცევა სპარსეთში.**

**მოგილევი.** აგვისტოს 22. ჩვენმა ელჩმა თეირანში აცნობა თავის მთავრობას, რომ რუსის ჯარი სპარსეთში ძლიერ უწესოდ იქცევა, სცარცვავს მშვიდობიან ხალხსაო. გენერალი კორნილოვი სწერს ამის გამო კავკასიის მთავარ სარდალს: მიიღეთ სასტიკი ზომები, მოიხმარეთ სამხედრო სარევოლუციო სასამართლოები და უწესოებანი მოსპევითო. კომიტეტები სრულიად არ უნდა ერეოდენ სპარსეთის ცხოვრებაშიო. კორნილოვი თანვე ატყობინებს: წინათადება შემაქვს უთუოდ მოაწესრიგონ ფულის საკითხი სპარსეთშიო.

# უკანასკნელი დეპეშები.

**თათბირი საგანმანათლებო საკითხებზე.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 22. სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების საკითხების განსახილველად მოწვეული ყრილობა დამთავრდა. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ქარხნებთან არსებულ სკოლებისა და ზავის შესახებ; აგრეთვე თავისი გადაწყვეტილება გამოიტანა სიკვდილით დასჯის შემოღების გამო.

**ჯარის-კაცთა კომიტეტები.**

შტაბის საგანგებო განყოფილების უფროსმა დეპუტატთა საბჭოს დეპეშით შეუტყობინა მთავარსარდლის მაგიერ, ჯარის კაცთა კომიტეტების წინააღმდეგ, არა თუ არავინ მოქმედებს, პირიქით ზომებია მიღებული მათ ავტორიტეტის გასაძლიერებლათო.

**„სტაროობრ-ადცების“ თათბირი.**

დაიწყო რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ „სტაროობრიადცების“ თათბირი. თავმჯდომარედ რიაბუშინსკია არჩეული. მან თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა.

ჩვენ ვცხოვრობთ უსაშინელეს სახელმწიფო უბედურობისა და ხალხის უკმაყოფილების ხანაში. ჩვენი ჯარის ეხლანდელი მდგომარეობა ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა. ასეთი მდგომარეობა თვით რუსეთის ყოფნას ემუქრება. შიმშილის აჩრდილი თანდათან გვიახლოვდება. ჩვენ „სტაროობრიადც“-ები უნდა მჭიდროთ შევკავშირდეთ, რათა დავიცვათ დღეს ნგრევის გზაზე მდგარი, წინაპართ მიერ გადმოცემული რუსეთის სახელმწიფო. ჩვენ ყველანი უკანასკნელ ამოკვნესამდე დავიცავთ რუსეთს. ჩვენ შორის სულმოკლეებს ადგილი არ ექნება. ძმანო, „სტაროობრიადც“-ებო, ისმინეთ და გაიგონეთ! ჩვენს ძველებს ესმოდათ ერთმანეთის. დღეს დადგა დრო, როცა ჩვენი მართალი სიტყვა უნდა ითქვას. ჩვენ ყველანი, მთელის ჩვენის ძალით უბედურ რუსეთის დასაცველად უნდა მოვემზადოთ.

**ჯარისკაცების გასამართლება.**

**ჰელსინგფორსი.** 23 აგვისტო. რუსის მანეთის კურსმა 120 მარკამდე დაიწია. შვიდი დღის გარჩევის შემდეგ საკასაციო სასამართლოში დამთავრდა პრაპორშჩიკ დებნინისა და 67 ჯარის კაცის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ სამხედრო ბრძანების აუსრულებლობა შეტევის საჭიროების დროს. დაესწრო 200 მეტი მოწმე სამჯავროში ნათლად ითქვა, თუ როგორ ირღვეოდა პოლკი ბოლშევიკურ აგიტაციის გავლენით. ნაფიცმა ვექილებმა დებნინი და 44 ჯარისკაცი გაამართლეს, ხოლო დანარჩენ 23-იდან 22-ს გადაუწყვიტეს ექვ-ექვსი წლის კატორღა, ხოლო ერთს ოთხი წლისა. დაადგინეს, რომ იშუამდგომლონ მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

**ბრძანება სამხედრო საუწყებოსადმი.**

**პეტროგრადი.** 23 აგვისტო. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთნებთ გლეხთა ორგანიზაციებს ჯარში, რადგან გლეხობა უთუოდ მთელი ჯარის შემადგენლობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენს. კულტურულ-საგანმანათლებლო და ადგილობრივ ცხოვრების კითხვათა გადასაჭრელად, ვბრძანებთ:

სასურველად ცნობილ იქნას ჯარში სპეციალ საგლეხო ორგანიზაციათა არსებობა, როგორც კულტურულ საგანმანათლებლო ჯგუფებისა. ეს ჯგუფები უნდა შედიოდენ პოლკის, დივიზიისა, კორპუსისა და საარმიო კომიტეტების სათანადო კომისიების შემადგენლობაში. 2) საგლეხო ჯგუფთა (სექციების) წევრებათ შეიძლება არჩეულ იქნენ კომიტეტთა წევრი გლეხები და უშუალოდ არჩეული წარმომადგენელნი. საგლეხო სექციათა ყველა წევრი თავისუფალია სამხედრო სამსახურისაგან, ისევე როგორც სხვა კომიტეტების წევრები.

საარმიო კომიტეტის წევრებიდან ხუთმეტი კაცი განთავისუფლდება. 3) ამ სექციათა მოქმედობა, როგორც კულტურულ-განმანათლებელ ჯგუფებისათვის მუშაობაში დამოუკიდებელია, მაგრამ მისი მოქმედობა სრულად უნდა ეთანხმებოდეს ჯარის რომელიმე ნაწილის კომიტეტის მოქმედობას. ისეთ კომიტეტების კონტროლს ქვეშ იმყოფება მთელი საზოგადო ცხოვრება ჯარის ნაწილისა, 4) საგლეხო სექციათა ან ჯგუფების ფული, საიდანაც არ უნდა შემოდიოდეს ის, უნდა იხარჯებოდეს ჯარის ნაწილის კომიტეტის კონტროლით.

ხელს აწერს სამხედრო სამინისტროს გამგე სავინკოვი.

**რიბო და ახალი კაბინეტი.**

**პარიზი.** 23 აგვისტო. გაზეთის ცნობების მიხედვით რიბო ამ კვირის დამლევს პრეზიდენტს წარუდგენს ქაღალდს ახლანდელი კაბინეტის გადადგომის შესახებ. რიბოს აზრადა აქვს ახალ კოალიციურ სამინისტროს შედგენა მარცხენა პარტიების ფართე მონაწილეობით..

სოციალისტების ეროვნული კონგრესი ბორდოში გაიხსნება 6 ოქტომბერს.

**ინგლისელები რიგის შესახებ.**

**ლონდონი.** 23 აგვისტო. „რეიტერ“-ის სააგენტო იტყობინება: ბრიტანეთის შეგნებულ წრეებში რიგის დაკარგვას ისეთ დიდ მნიშვნელობას არ აკუთვნებენ, როგორც სხვებს ჰგონიათ. რიგის დაცვას ელოდნენ. ამ ქალაქის ადრევე სცლიდენ. რიგის აღება გერმანელთათვის ჯერ კიდევ არ მოასწავებს რიგის ყურეში მდებარე კუნძულების ხელში ჩაგდებას.

**შრომის სამინისტროში.**

**პეტროგრადი.** აგვისტო 22. შრომის სამინისტროს საგანგებო კომიტეტის მეორე სესიის სხდომები დაიწყო. თავის მისალმებელ სიტყვაში შრომის მინისტრმა სკობელევმა მიუთითა სხდომის


**შაბათს 26 აგვისტოს, დილის 10 საათზე**

რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების მოწაფეთა (განურჩევლად სქესისა)

# საზოგადო კრება.

კრებაზე წაკითხული იქნება მოხსენება საორგანიზაციო საკითხებზე, კრებაზე დასწრება **ყველასთვის სავალდებულოა.** **მოწაფეთა პრეზიდიუმი.**


პირველ სესიის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტებზე შრომის ბირჟისა, შემარიგებელ კამერებისა, და მუშათა ზოძრაობისა და შეტაკების შესახებ. დროებითმა მთავრობამ უსურვა კრებებზე მონაწილე მუშათა და მრეწველთა წარმომადგენლებს საერთო ენის გამონახვა მიმდინარე სერიოზულ კითხვათა გადასაწყვეტად.

პირველად გაირჩა საკითხი უმუშევრობის შესახებ. სხდომამ დაადგინა, მიიღოს იძულებითი დაზღვევის სისტემა. სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულმა პროფესიულ განათლების დეპარტამენტმა თხოვნით მიმართა საერობო თათბირებს, მიაწოდონ ცნობები პროფესიულ განათლების შესახებ და აგრეთვე თათბირების შრომებიც.

# ჟურნალ გაზეთებიდან.

**ციმბირის რკინის გზას ქალები იცავენ.**

ქალთა მეომარ ბატალიონის პრაპორშჩიკმა ქალმა ბიჩკარევისამ 500 მოხალისე ქალი წაიყვანა ციმბირის რკინის გზის დასაცავათ. ციმბირის რკინის გზაზე მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

**იტალიელებს სდევნიან.**

ქ. ტრიესტში ავსტრიის მთავრობა სასტიკათ სდევნის იტალიელებს. ავსტრიელ გენერალ-გუბერნატორ ფონჰელენერს უთქვამს: „მოღალატისთვის შავი დღეები დადგება. იტალეთმა, რომ ჩვენ ზურგიდან მახვილი ჩაგვცა, ამით კი ვერაფერს მოიგებს, არამედ თავს წააგებსო.

**ჰუნგრეთის სლოვაკების ავტონომიის წინაარმდეგ.**

ჰუნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალათ აცხადებს, რომ ჰუნგრეთი სლოვაკებს ავტონომიას არ მისცემს.

**პოლონეთის შესახებ.**

პოლონეთის გენერალ გუბერნატორი ბეზელესს ჟურნალისტებთან საუბრის დროს შემდეგი უთქვამს.

„პოლონეთი სავსებით განთავისუფლდა რუსული ორიენტაციისაგან.

რევოლუციამ რუსეთის „ძლიერება“ სრულიად მოსპო. ახლა პოლონეთს შეუძლია ისეთ სახელმწიფოსთან დაიჭიროს მტკიცე კავშირი, რომელსაც უფრო უახლოვდება სულის კვეთებით. გერმანეთი პოლონეთისთვის მფარველი სახელმწიფოც იქნება და მოკავშირეც. გერმანეთი ომში უსათუოდ გაიმარჯვებს, და ამისგან სარგებლობას მოელის პოლონეთი.

**რიგის აღება.**

ესტლანდიის და კურლიანდიის ქალაქებში თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა რიგის რუსის ლაშქრის მიერ მიტოვებამ.

მტრის შეჩერების იმედი არა აქვთ.

**შიში.**

ესტლანდიის გუბერნიის მცხოვრებნი საგონებელში ჩაავდო იმ გარემოებამ, რომ უკან დახეული ჯარი ძარცვავს და აწიოკებს მშვიდობიან მცხოვრებთ.

**როძიანკო ყაზახთა რაზმში.**

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე გ. როძიანკო მოხალისეთ ჩაეწერა ყაზახთა ჯარში.

**ინციდენტი.**

ქ. ოდესაში სწარმოებს ამ გუბერნიის გლეხთა ყრილობა, ყრილობამ ნახევარი დრო კინკლაობაში გაატარა და არავითარი რეზოლუცია არ შეუმუშავებია. ორლოვის ქალმა ყრილობაზე სთქვა. „ბურჟუები აგრარულ კითხვის გადასაჭრელათ ხელს გვიშლიან და ამიტომ დროა მათ დახოცვას შეუდგეთო ქალის სიტყვამ გავლენა მოახდინა. მას გამოეხმაურა მამაკაცი, რომელმაც სთქვა; კენჭი ვიყაროთ და ვისაც მოუვა, მან უნდა მოჰკლას ერთი „ბურჟუა“. მეო, სთქვა მამაკაცებმა, მზათ ვარ ახლავე მოვკლა ერთი ბურჟუაო.

**პასუხის გებაში მიცემა.**

რუსეთის ჯარის და ფლოტის ოფიცერთა კავშირის მთავარი კომიტეტი პასუხის გებაში აძლევს ოფიცერს სარქისიანცს. სარქისიანცს ბრალდება ოსმალებთან და გერმანელებთან ჯაშუშობა, რუსის ლაშქარში აგიტაციის წარმოება, რომ ჯარი ბრძოლის ველზე არ წასულიყო, ჯარისკაცების ყალბ მოწმობებით სახლში გაშვება და უფროსის განკარგულების შეუსრულებლობა.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**ილიას პანაშვიდი.** ხვალ, აგვისტოს 27-ს, საკათედრო ტაძარში ილიას გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო მის სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნება პანაშვიდი. სამოქალაქო პანაშვიდის დღე ცალკე გამოცხადდება.

✦ **ფეხსაცმელის სამკერვალო სკოლა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა უკვე მოაწყო ფეხსაცმელების სამკერვალო სკოლა. სკოლამ აგვისტოს 24-დან მოქმედება დაიწყო. შეკერავენ ყოველგვარ ფეხსაცმელს, რომელიც გაიყიდება სასურსათო კომიტეტის მიერ დაწესებულ ფასში.

✦ **შეშის ფასი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ შეშა საჟენი სახლში მიტანით ღირება 180 მან.

✦ **მილიციელთა სადარაჯო.** ხონის გზის გადასახვევთან წინათ არსებობდა მილიციელთა სადარაჯო, რომელიც ამ ბოლო დროს გააუქმეს. ახლა მახლობელი მცხოვრებნი გუბერნიის კომისარს სთხოვენ, რომ სადარაჯო კვლავ აღდგენილ იქმნას.

✦ **მუშათა შორის.** ბეჭვდითი საქმის მუშათა პროფესიულმა კავშირმა დაადგინა გაგზავნოს ქუთაისის გუბერნიის იმ ადგილებში, საცა სტამბა არის, თავისი წარმომადგენლები და მოაწყოს ორგანიზაციები.

✦ **კომისარის წასვლა.** გუბერნიის კომისარი ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე სოფ. დიდი ჯიხაიშს წავიდა ილია ქუთათელაძის მკვლელობის გამოსაძიებლად.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის მავთულების შეკეთება.** თბილისის საფოსტო სატელეგრაფო ოლქის უფროსი გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ თბილისიდან გამოგზავნილია კაცები გაფუჭებულ ტელეფონ-ტელეგრაფის მავთულების შესაკეთებლათ. მავთულების შემკეთებელმა პირებმა გუბ. კომისარს განუცხადეს, რომ მათ მუშაობის დროს თან ახლდეს ორი შეიარაღებული კაცი. კომისარმა მათი თხოვნა დააკმაყოფილა.

✦ **ზ. გურულის გამცემის შესახებ.** რევოლუციურმა მთავრობამ დააპატიმრა კონდუქტორი ალექს. ზალევსკი, რომელსაც ბრალდებოდა ზაქ. გურულის გაცემა. კონდუქტ. ზალევსკის ცოლი გუბერნ. კომისარის წინაშე შუამდგომლობს, რომ რადგან მისი ქმარი არაფერში დამნაშავე არ არის, გაანთავისუფლონ იგი მის ხელწერილ ქვეშ.

✦ **ლადო იაშვილის ძმის შუამდგომლობა.** ძველი რეჟიმის დროს ციმბირში გადასახლებულ და იქ გარდაცვლილ ლადო იაშვილის ძმა ატყობინებს ქუთ. გუბ. კომისარს, რომ ლადო იაშვილის გამცემთა კვალი მიგნებულია. რადგან მას რეაქციის დროს დამსჯელმა რაზმმა სახლკარი დაუწვა, იგი თხოულობს ზარალის ანაზღაურებას.

✦ **მოწმობების დაკარგვა.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ: რომ ლუკა თომას ძე ცხვირაბაშვილს ჯაჭვის ხიდთან მოჰპარეს პალტო, რომლის ჯიბეშიც იყო სოფ. ხვანჭკარის სასოფლო მმართველობის მიერ ლუკა ცხირაბაშვილის და ძმის სამსონ ცხვირაბაშვილის სახელზე მიცემული ჯარის კაცობის მოწმობები. მპოვნელს სთხოვენ გაგზავნოს მოწმობები შემდეგის მისამართით: ბათომი, აჭარის ქუჩა 18, აკაკი თავართქილაძეს.

**კათალიკოზის მოსაყდრის გადასვლა ყოფილ ექზარხოსის სახლში.**

გუშინწინ, აგვისტოს 20, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე, თბილელი მიტროპოლიტი ყ. უ. ლეონიდე გადაბრძანდა ქართველ სამღვდელოების სახლში, ყოფილ ექსარხოსის პლატონის ბინაზე.

ამ ბინაზე ყოფილ კერძო საკუთრების დასაცავად მიწვეულ იქმნა ქალაქის მილიციის უფროსის თანაშემწე, რომელმაც ნაქესარხოსალ [illegible] ჩამოართვა დეპულია, ხატი, სურათი, რომელიც [illegible] მეფის, მემკვიდრეობის დროინდელი და მისი დედის.

სასახლის ჩაბარების დროს ნაექსარხოსალის სახლში იმყოფებოდენ კერძო პირნი, მათ შორის მამკოდის მონასტრის ორი მონაზონი, რომელნიც გამოკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

თბილისში ათასგვარი ჭორი გავრცელდა იმის გამო, რომ საქართველოს საეკლესიო საქმეთა დროებითმა მმართველობამ საქართველოს საეკლესიო სახლი დაიუფლა, რომელშიაც აქამდის საქართველოს ეგზარხოსები სცხოვრობდნენ, და ამ სახლში დაბინავდა საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე. ყოველგვარ უსაფუძლო ხმების გასაფანტავად მომხდარი ფაქტის გამოძიება ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მიანდო ბ ნ ლეინდეს.

აღნიშნული შენობა აგებულ იქმნა 1847—48 წლეებში თბილისის გუბერნატორისათვის. სამოქალაქო ადმინისტრაციამ ეს შენობა და აგრეთვე მეორეც, რომელშიაც ამ ჟამად მოთავსებულია სინოდის კანტორა, მიჰყიდა სამღვდელოების ფასი გასტუმრებულ იქმნა საქართველოს საეკლესიო თანხიდან.

# დამფუძნებელი კრების არჩევნები.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს დეპეშა მოუვიდა დამფუძნებელ კრების მომწვევ მთავარ კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. ავინოვისაგან პეტროგრადიდან. დეპეშა გადმოგვცემს, რომ ამიერ კავკასიის საარჩევნო რაიონში შედიან: თბილისისა, ქუთაისისა, განჯისა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიები, ბათომისა, ყარსისა, სუხუმისა და ზაქათალის ოლქები. მთავარი საარჩევნო კომისია მოთავსებული იქნება თბილისში. ამ კომისიის თავმჯდომარედ იქნება ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე ანუ მისი მოადგილე და კომისიაში წევრებად შევლენ სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. გარდა ამისა ყველა გუბერნიებსა და ოლქებში უნდა მოეწყოს ადგილობრივი საარჩევნო კომისიები, რომელთა თავმჯდომარეებად იქნებიან ადგილობრივი საგუბერნიო ანუ საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარენი, ხოლო წევრებად სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ავინოვი სთხოვს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს იხმაროს ყოველივე ღონისძიება, რომ დაუყოვნებლივ მოეწყოს აღნიშნული კომისიები.

# საღმრთო სჯული და პატარა ბავშვები.

ქრისტიანულ ოჯახში, ქრისტიანულ სკოლაში უფლის სული უნდა ტრიალებდეს. განათლებულ ქვეყნებში, მაგალითად შვეიცარია-გერმანიაში, ეს ყველგან ნათლად სჩანს. იქ სკოლასა და ოჯახს ვერ ნახავთ, რომ შიგ ქრისტეს მიერ ბავშების კურთხევის საღმრთო სურათი არ ეკიდოს. ჩვენში კი გამომდგარან ახალ მოდის „პედაგოგიჩკები“ და თამამად გაიძახიან ბავშებისათვის საღმრთო სჯული რა საჭიროაო. ეს ქალბატონები გიმნასტიკისა და „ტანცი-მანცისათვის“ კვირაში სამ-სამ გაკვეთილს თხოულობენ და საღმრთო სჯულისათვის ერთსაც კი არა. ახალ მოდის ქალბატონები, მესმის, საღმრთო სჯულის სწავლების წესის შეცვლას რომ ეხებოდნენ და არკვევდნენ, მაგრამ, როდესაც ამ საღმრთო საგანს, თითქმის სულ უარს ეუბნებიან, ეს კი ვერ გამიგია, თუ რა მოსაზრებით მოსდისთ მათ ასეთი თავხედობა. ქალბატონებო, უნდა იცოდეთ როგორ უნდა ასწავლოთ უსუსურ ბავშებს საღმრთო სჯული და მაშინ აღარ იტყვით და მოსთქვამთ ამ საგნის სიძნელეზე პატარა ბავშებისათვის. იმაზე ძნელი და სამწუხარო არაფერი არ არის, როდესაც მეწადე „ბულკების“ ცხობას დაიწყებს. გახსოვდესთ ეს.

**მ. ქუთათელი.**

## არც ნამეტანი ვარგა.

კაი ხანია საერო წოდების ერთი ნაწილი საზოგადოთ სამღვდელოებას არ წყალობს, კრიჭაში უდგია მას და ხან მარჯვნივ ანიავებს მას და ხან მარცხნივ. ვერ ვიტყვით იმას, რომ საერო წოდების ეს ნაწილი ყოველთვის მართალი იყოს სამღვდელოების ლანძღვაგინებაში. ავიღოთ მაგალითად დიდათ პატივცემული კონსტანტინე დავითის ძე მაჭავარიანი, რომელიც უზომო დიდ ბრალდებას უდგენს სამღვდელოებას გაზეთ „საქართველოს ფურცლებზე. აი ამ დამსახურებული პედაგოგის სიტყვები: „აბა მიბრძანეთ ის რა მღვდელია, რომელიც დღე და ღამე გართულია საკუთარ საქმეებში, განშორებულია ქრისტეს მცნებისაგან, მიდის წირვა-ლოცვაზე **გამძღარი** და არ აძლევს ნუგეშსა არც მართალსა, არც უძლურსა, არც მწუხარესა, არც დავრდომილსა, არც ქვრივსა და არც ობოლსა“,-აი განიავება და თ:ვის მოჭრა თუ გინდა ადამიანისა და მთელი წოდებისა, ამასა ჰქვიან. საერთო დებულების გამოსაყვანად ერთი და ორი მაგალითი არ კმარა, ეს კარგათ უნდა მოეხსენებოდეს ჩვენ პედაგოგს და საინტერესოა ვიცოდეთ, ამ ქათმის ფეხებზე აშენებულ დებულებას რა კონკრეტიული მაგალითებით ასაბუთებს, სად გაგონილა რომ მაძღარი მღვდელი წირვას შედგომოდეს?! ყოველიფრის თქმა შეიძლება მღვდელზე, მაგრამ ამის თქმა პირდაპირ ცილისწამებაა და მეტი არაფერი. არც ის არის მართალი, რომ ვითომც მღვდელი დღე და ღამე მარტო თავის საქმეებში იყოს გართული და სამწყსო ღვთის ანაბარად ჰყავდეს მიტოვებული. იდეალური მოძღვარი ქვეყნიერებაზე მარტოდ მარტო ქრისტე-ღმერთი იყო და ჩვენ მხოლოდ მისი მიმბაძველნი უნდა ვიყოთ. მეორე ქრისტე ქვეყნად არც ყოფილა და არც იქნება. რამდენათაც ხორციელი კაცისათვის შესაძლებელია, მღვდლებიც თავის მძიმე და რთულ მოვალეობას ასრულებენ და მეტი რა ჰქნან, არ ვიცი. კარგი იქნება, ბ. კონსტანტინე მაჭავარიანი დაასახელებდეს, სხვა რომელი პროფესიის მოხელეა, რომ სავსებით და უნაკლოდ ასრულებს თავის მოვალეობას. მაგრამ თამამად უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ყველას გვეადვილება სხვის თვალში ბეწვის დანახვა და ჩვენ თვალში დვირესაც ვერ ვხედავთ. ასეა თუ ისე, მთელი სამღვდელოების შეუფერებელი სიტყვებით ვამასპინძლოება ლამაზი არ არის და ასეთი მოქცევა დიდ ღირსებას ართმევს ბ. მაჭავარიანის შინაარსიან წერილებს. ვიმეორებ, ქართველი სამღვდელოება მისი ღირსი არ არის, რომ მას ხორც მეტი უწოდოთ და მან რამოდენადმე მაინც უკვე გამოისყიდა თავისი ნაკლი თავისი უკანასკნელი მოქმედებით.

**მ. უკანეთელი.**

## მონასტერში ბატონყმობა თუ ძმობა?

(თბილისში განზრახულ საქართველოს ბერ-მონაზონთა კრების საყურადღებოდ)

არა არის ქვეყანაზედ ისეთი მოვლენება, რომელთა პირველ შობილ იდეალურ სახეს ფერი არ ეცვალოს და არ დამახინჯებულ იყოს. სწორედ ასე დაემართა ბერობის იდეასაც. ვისაც ნათელ აზროვნებით განუხილავს პირველ ყოფილი ბერობის სული, ღრმად ჩაუხედნია მის გენიურ ლტოლვაში და მისი არსებობის ნამდვილი სახე წარმოუდგენია სალ გონებით, მწამს, რომ გულ-ახდილად აღიარებს რომ დღევანდელ ბერობის მხოლოდ სახელი და გარეგანი სახელი შერჩენია. დღეს ქვეყნის პირიდან აღიგავა ჭეშმარიტი ბერების სახე და ნაცვლად ამისა მეფობს უნაყოფო, უმადლოდ ანგარებით, დიდების მოყვარებით გამოფიცული. ცარიელი ფორმა. დღეს მონასტერში მეფობს ბატონ-ყმობა და არა ძმობა; ე.-ი. უფროსების ბატონ-ბრძანებლობა, ჯამაგირთა გადიდება და არა ძმურად ჯამაგირ-შემოსავალისა თანასწორ განაწილება. წინამძღვარი იგივე ბერია, ვითარცა თითოეული წევრი კრებულისა და ისეთი ადამიანია, როგორც მორჩილი.

ამისთვის ათასი მანეთი და მეორესთვის ასი განა შექმნის ძმობას და აყვავებს მონასტერს? განა ეს ეკუთვნის ქრისტეს მცნებას: თქვენ ყველანი ერთი ხართ. ავიღოთ ჩვენი სასიქადულო წმინდა ევთიმე ათონელის კანონი. სადაც წერია: თუ წინამძღვარმა განასხვაოს თავი თვისი, საჭმელ-სასმელით, ჩაცმით და ყოველ გვარ ნივთიერ მოთხოვნილებით, იგი აღტაცეთ ხელით და გადასვით ბჭის გარედ. ასეთი თანასწორობა და ძმობა უნდა ედგას ერთა ცხოვრებას მონასტერში კავშირად და არა ბატონობა, კადნიერებად ნუ ჩამომერთმევა თქმა და, რასაც აქ ვლაპარაკობ, ის საქმითაც განხორციელებულია ჩვენს სავანის ძმობაში და მაინც ვერ წარგვიმართია გზა კეთილ ბერობისა, თორემ ერთს ათასი მანეთი მეორეს ასი რომ ეძლევა რას შექმნის. თუ არა იმას, რომ განადიდებს, უამისოდაც ჩვენს საცოდავ ბუნებაში ჩაქსოვილ ინტერესებს, შურს და სიძულვილეს. შეიძლება ვინმემ წინა მიყოს პასუხად მამათა სწავლაში ხსენებული „მორჩილება“ უპირატეს ყოველთა სათნოებათა ცნობილად. დიახ, მეც ამისი თანახმა გახლავარ, მაგრამ მიტომ მოგახსენებთ ამ წერილის თავში: არა არს ქვეყანაზედ ისეთი მოვლენა, რომლის პირველ შობილი სახეს ფერი არ ეცვალოს მეთქი. სწორედ ბერობის იდიალურ სახეს ისე ეცვალა ფერი, რომ მხოლოდ ეს ლექსი:

„მორჩილება“ საბატონ-ყმობო იარაღად შერჩენია და მეტი არაფერი. ის მამები, რომლებმაც მორჩილების სათნოებას უპირატესობა მისცეს, მზესავით უნათებდენ გულის კარს მორჩილებას, არა ბატონურ ბრძანებლობით, არამედ ნამდვილ მამობრივ სიყვარულის ჩვენებით, თან უპოვარ, უანგარო, უჩინოსნო და ნივთიერად თანასწორ ცხოვრების მაგალითის მიცემით. აი ასეთი საღმრთო ნდობით აღჭურვილ მამებს შეუორგულებლად ემორჩილებოდენ მოწაფენი. და რომ ასეთი მამები ამხანაგურად ექცეოდენ მორჩილებ და რომ ასეთი მამები ამხანაგურად ექცეოდენ მორჩილებს და არა ბატონურ უფლებით, ამას ამტკიცებს მთელი მამათა ცხოვრების სწავლა, რომლის ზღვა მაგალითისაგან, ერთს მოვიყვან საბუთათ: მორჩილს და მის წინამძღვარს მოუვიდათ უკმაყოფილება, რის გამო სხვა ვინმე რჩეული მამა ჩადგა მათ შორის საქმის მოსაგვარებლათ. მოწაფეს ეკითხება ურჩობის მიზეზს და იგი მიუგებს: **ბრძანებლობით** მითხრა და არა მამობრივ **სიყვარულითო**, რისგამო შუამავალმა ბერმა წინამძღვარი განაკრძალა.

ჭეშმარიტებაა, რომ ყოველმა საბერო პირმა, როცა შედის მონასტერში, უნდა უარყოს თავისი ნება და დაემორჩილოს მონასტრულ-მართვა-გამგეობას, რადგან ესრეთი თავისი უარყოფა პირველი მისი უფლებისა, მისევე თავისუფლებით შეწირულ არს ქრისტესადმი, ხოლო ქრისტეს მიერ მისი სულმძღვანელისადმი, მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დღევანდელი მონასტრები ვერ უწევენ ხელმძღვანელობას ახალ შემოსულ საბეროს მამობრივი სიყვარულით და სათნოების ჩვენებით. აგრეთვე არც საბეროების მხრით მართლდება ჭეშმარიტ ბერულ მიზნით გამოსვლა, არამედ მათ ახელმძღვანელებს უფრო საქვეყნო დიდება და ხარისხით ზე აღწევა. და ესე ვითარად ვგონებ სამონასტრო ბერულ ცხოვრების ჩარხი დაჭქანდა დაღმართ და ლამის დაიმსხვრეს. ასე და ამ გვარად ჩვენი მონასტრების დაცემულ მდგომარეობას, ვერას უშველის თბილისში სამ სეკტ. სამონასტრო კრების ზრუნვა და ვერც ბატონ ყმობრივი „დისციპლინის“ აღდგენა, თვით უფროსების სათაყვანოდ შედგენილი უმცირესობის ზურგზე. აქ მშვენიერად მოეზავების ქრისტეს მიერ ყვედრება სჯულის მეცნიერთა მიმართ: „თქვენდაცა ვაი არს, რამეთუ აღკიდით კაცთა ტვირთ ძნიად სატვირთავი და თქვენ ერთითაცა თითითა არა შეახით ტვირთისა მას“ (ლუკა 11—46.) უკანასკნელი საშვალება, რომ ჩვენს წინაპართა მიერ დიდებული საისტორიო შენობანი მონასტრებისა, ევოს უკუნისამდე დაუქცეველ ძეგლედ, უნდა დაარსდეს და მოთავსებულ იქმნეს ამ შენობებში საშვალო და უმაღლესი სასწავლებლები. ხოლო აწ არსებული თანამედროვე გადაგვარებულ ბერების იმედი აღარას გვარგებს, რადგანაც გაივლის ხანი და უღმერთო, უიდეო და უშინაარსო ბნელ პირებს სასტიკი მსაჯული გაღვიძებულ დროისა ექსორია ჰყოფს მათ სულით ამაღლებულ წინაპართა მიერ დაარსებულ წმინდა სავანეთაგან.

**ალექსი ბერი. (შუშანია)**

## მოწერილი ამბები.

**სოფ. გოდოგანი.** (ქუთ. მაზრა). ხშირათ იწერებოდა კორესპოდენციები გაზეთებში ამ სოფლის შესახებ; ყველა აღნიშნავდა იმას, რომ ეს სოფელი ჩამორჩენილი იყო დანარჩენ სოფლებზე, ე. ი., როცა თითქმის ყველა მიყრუებულ სოფლებში დღეს, არსებობს სკოლა, სამკითხველო და აგრეთვე სხვადასხვა მომხმარებელი საზოგადოებები, კოოპერატივი და წვრილ კრედიტის დაწესებულებანი, ამ სოფელში არც ერთი ეს კულტურული დაწესებულება არ არსებობდა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სოფელში მაინც მოიპოვებოდენ, მოწინავე პირები, რომელთაც ყოველთვის სურდათ, თუ კი გარემოება და პირობები ხელს შეუწყობდათ, ეზრუნათ ხალხის საკეთილდღეოთ. მართლაც, ამ ცოტა ხანში ამათი ინიციატორობით აქ დაარსდა მომხმარებელი კოოპერატივი, რომელსაც სათავეში უდგას ფრიად პატიოსანი ამავე სოფლის მცხოვრები სიმონ კანდელაკი. კოოპერატივმა უკვე დაიწყო მოქმედება და ხალხს აწვდის ყოველგვარ აუცილებელ და საჭირო მოთხოვნილების საქონელს. ეს პირველი ნაბიჯია და მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენ შეგვძლებია შეერთება, შეკავშირება და საერთო ძალით სახალხო საქმის გაკეთება. ვუსურვებ ამ სოფელს მეორე და მესამე დიდი ნაბიჯის გადადგმას. რათა კოოპერატივს მოყოლოდეს სწავლაგანათლების გამავრცელებელი სკოლა და შეგნების შემტანი-სამკითხველო, რომ სოფელმა შესძლოს კუჭთან ერთად დაიკმაყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილებანი.

იმ მიზნით, რომ ეს ნორჩი დაწესებულება წელში გაიმართოს და ფართო მოქმედება დაიწყოს, ადგილობრივმა და მოწვეულმა ახალგაზდობამ აგვისტოს 20-ს გამართა საღამო-წარმოდგენა. თუმცა მთელი დღე წარმოდგენის დაწყებამდის ცა იღუშებოდა და გაავდრებას აპირებდა, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად, იყვენ მახლობელ სოფლებიდან და აგრეთვე ქალ. ქუთაისიდანაც. საღამო-წარმოდგენა ასე თუ ისე შინაარსიანი იყო და სავსებით აკმაყოფილებდა მაყურებლებს. პირველად წარმოადგინეს „პატარა კახის“ მეორე მოქმედება. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს სცენა საუცხოოთ ჩატარდა, ხალხს ძლიერ მოეწონა და აღტაცებულნი ტაშის ცემით იწვევდენ მოთამაშეებს სცენაზე. შემდეგ წარმოადგინეს კომედია „ორი მშიერი“ და ვოდევილი „ტიმოთეს ლელვი“. ეს უკანასკნელი წარმოდგენა თუმცა მოისუსტებდა, მაგრამ მაინც ბევრი აცინა დამსწრენი. წაკითხულ იქმნა აგრეთვე გურული სცენები, ლექსები და მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამოდენიმე ქართული სიმღერა. დასასრულ ახალგაზდა მომღერალმა აკაკი ხუჯაძემ იმღერა ხოლო. ამით დასრულდა საღამო. საღამომ ხუთმეტი თუმანი წმინდა შემოსავალი დატოვა.

**ივერიკო.**

## ფოსტა-ტელეგრაფის ახალი ტარიფი

აგვისტოს 15-დან ფოსტა-ტელეგრაფის ახალი ტარიფია დამტკიცებული.

1. ბანდეროლით გაგზავნა.

ა. ბეჭვდითი ნაწარმოებისა.

ა) ადგილობრივ—2 კაპეიკი 1 ლოტამდე, შემდეგ თვითეულ 4 ლოტზე—კიდევ 2 კაპეიკი.

ბ) სხვა ქალაქები—2 კაპეიკი თვითეულ 2 ლოტზე.

ბ. საქმის ქაღალდებისა:

ა) ადგილობრივ—2 კაპეიკი თვითეულ 2 ლოტზე მცირე ზომისაზე—10 კაპ. სასწვრე ბაჟი.

ბ) სხვა ქალაქებში—2 კაპეიკი თითო ლოტზე მცირე ზომისაზე სასწვრე ბაჟი—15 კაპ.

გ. საქონლის ნიმუშისა:

ადგილობრივ და სხვა ქალაქების—1 კაპ. თვითეულ ლოტზე მცირე ზომისაზე—სასწვრე ბაჟი 10 კაპ.

2. ღია ბარათების გაგზავნა ადგილობრივ და სხვა ქალაქებში—5 კაპ. ფასგადახდილი საპასუხო ბარათით 10 კაპ. (თითო ბარათი ხუთ ხუთ კაპ.)

3. უბრალო დახურულ წერილის გაგზავნა:

ა) ადგილობრივ 10 კაპ. თვითეულ 30 გრამზე.

ბ) სხვა ქალაქებში 15 კაპ. თვითეულ 15 გრამზე,

4 მისალოცი და სადარაბაზო ბარათების გაგზავნა—ისევე როგორც უბრალო დახურულ წერილების გაგზავნა ადგილობრივ თუ სხვა ქალაქებში.

5. დახურულ-დაზღვეულ წერილის გაგზავნა.

ა) სასაწვრე ბაჟი—3 მუხლის ბუნქტების თანახმად.

ბ) დასაზღვევი ბაჟი—20 კაპ. თვითეულ წერილზე.

6. დასაზღვევი ბაჟი დაზღვეულ ღია წერილის გაგზავნაზე, ბანდეროლზე და ამანათზე—20 ცალ-ცალკე.

7. განცხადებულ ფასიან წერილების გაგზავნა.

ა. ადგილობრივ:

ა) სასასწვრე ბაჟი—15 კაპ. თვითეულ 15 გრამზე.

ბ) დასაზღვევი ფასი 15 კაპ. თუმანზე და თუმნამდე. 30 კაპ. 100 მანეთამდე და 30 კაპ. თვითეულ შემდეგ 100 მანეთზე.

8. ფულის ფოსტით გაგზავნა 15 კაპ. 25 მანეთზე და 25 მანეთამდე, 50 კაპეიკი 1000 მანეთზე და 50 კაპ. თვითეულ შემდეგ 100 მანეთზე

9. ცნობის გაგზავნა ამა თუ იმ გამოგზავნილ საგნის მიღებაზე 20 კაპ. სხვა ქალაქებში, ადგილობრივ—10 კაპ.

10. ფოსტით გაგზავნილ საგნის მოსანახად სხვა ქალაქებში გასაგზავნ განცხადებაზე—საგანგებო ბაჟი—20 კაპ. ადგილობრივ 10 კაპ.

11. ფოსტით გაგზავნილის დასაბრუნებლად მისამართის შესაცვლელად თუ გაგზავნილის დასაჭერად გასაგზავნ განცხადებაზე—40 კაპ.

12. ფასიან წერილების და ფულის 500 მანეთამდე სახლში მიტანაზე 20 კ.

13. სააბონემენტო ყუთებით სარგებლობაზე—10 მან. სატახტო ქალაქებში და 6 მან. დანარჩენ ადგილებში.

14, უფასო ამანათების გაგზავნა:

ა. წონით 12 გირვანქამდე 2 მანეთი პირველ სარტყელში. 3 მანეთი მეორეში 4 მანეთი მესამეში და სარტყლების შუა და 6 მანეთიც თვითეულ სარტყელ გადაცდენილ ამანათზე.

ბ. 12 გირვანქაზე მეტიანი ამანათი:

ა) პირველ 12 გირვანქაზე—წინა პუნქტით დამტკიცებული ფასი და

ბ) შემდეგ თითო გირვანქის გაგზავნა—სიშორის მიხედვით.

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 კაპეიკი | . | 1000 ვერსზე | |
| 20 | „ | . 2000 | „ |
| 25 | „ | . 3000 | „ |
| 30 | „ | . 4000 | „ |
| 35 | „ | დანარჩენ დიდ სიშორეზე. | |

15. ფასიან ამანათის გაგზავნა.

ა) სასასწვრე ბაჟი მე-14-ე მუხლისა თანახმად.

ბ) დასაზღვევი ბაჟი მე 7 ე მუხლის თანახმად,

16. ამანათების სახლში მიტანა 50 კ. თითოზე, სატახტო ქალაქებში 1 მანეთი.

17. დეპეშების გაგზავნა. დამტკიცდა შემდეგი ფასი სიტყვაზე:

ა) ადგილობრივ დეპეშებისათვის—5 კაპეიკი სიტყვაზე.

ბ) სხვა ქალაქებში გასაგზავნ დეპეშების 10 კაპეიკი სიტყვაზე.

გ) სასწრაფო დეპეშებისათვის 30 კაპეიკი სიტყვაზე.

დ) მისალოც დეპეშებისათვის—70 კ. სიტყვაზე.

**შენიშვნა.** სადეპეშო ფასი ძველებურად რჩება 30 კაპ. მხოლოდ სასწრაფო დეპეშებზე- სამჯერ მეტი ფასია საჭირო.

18. შესწორებულ დეპეშებზე ორჯერ მეტი ფასია დამტკიცებული.

19. შესწორებულ სასწრაფო დეპეშებზე—ოთხჯერ მეტი ფასი.

20. ფულის ტელეგრაფით გაგზავნა:

ა) სა[illegible] ბაჟი მე-8-ე მუხლის თანახმად.

ბ) სატელეგრაფო ბაჟი—3 მანეთია 500 მანეთის გასაგზავნად და 4-რე 500 მეტის—გასაგზავნად.

21. დეპეშები კერძო ბანკებს და საკრედიტო დაწესებულებებს მესამე პირისათვის ფულის გადაცემის შესახებ—სასწრაფო დეპეშებად ითვლება ფულის გადახდაში.

22. ცნობა დეპეშის მიღების 1 მანეთი და 30 კაპ.

23. დეპეშების ასლის მიღებაზე 50 კაპიკა ასლის 100 სიტყვაზე.

24. დეპეშების მიტანა (გარდა დაწესებულებაში) 20 კაპ. ვერსზე.

თუ ფული დეპეშის მიტანისთვის საკმაოდ არ იქნება გადახდილი—მაშინ დანარჩენს დეპეშის მიმღები იხდის.

ხელს აწერს: ფოსტა—ტელეგრაფის მინისტრი. **ნ. როჟკოვი.**

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.
(სისხლში უშვებს „606“ და „914“) დილით 12½ 2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**გ. ი. გოქიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვატუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავადმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელ[illegible]ის სახლი, ქუთაისში